**აჭარის ელექტროკავშირი**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საქართველო, 6010 ბათუმი, მ. აბაშიძის გამზ., 33
33, M. Abashidze avenue, 6010 Batumi, Georgia
Tel.: + 995 (222) 7 22 00 Fax: + 995 (222) 7 44 44

№ 711/7

« 24 » ნოემბერი 2008 წ.

*საქართველოს კომუნიკაციების*
*ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს*
*ბატონ გ. არველაძეს*

*ბატონო გიორგი,*

გაცნობებთ, რომ 2008 წლის 1 ნოემბრიდან ქ. ბათუმსა და ქობულეთში ახალი ციფრული სატელეფონო სადგურების გაშვებასთან დაკავშირებით შპს „აჭარის ელექტროკავშირში" ამოქმედდა ადგილობრივი სატელეფონო და საქალაქთაშორისო კავშირებით მომსახურების ახალი ტარიფები.

ასევე გიგზავნით ურთიერთჩართვის თანალოკაციის ფართთან დაშვებისა და ანტენების განთავსების შეცვლილ ტარიფებს (ბრძანება №81 ოპ). გთხოვთ აღნიშნული ბრძანება განათავსოთ თქვენს ვებ-გვერდზე შპს „აჭარის ელექტროკავშირი"-ს მოწვევის ოფერტებთან.

დანართი: 5 ფურცელი

პატივისცემით,

მ. სტეფანია

დირექტორი

# შ.პ.ს. "აჭარის ელექტროკავშირი"

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 8/ ოპ

ქ. ბათუმი "12" ნოემბერი 2008 წ.

ავტორიზებულ პირთა მიერ შპს „აჭარის ელექტროკავშირის" კუთვნილ ტერიტორიებზე მოწყობილობებისა და ანძების/ანტენების განთავსების ტარიფებში ცვლილებების შეტანის შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აპარატურული კარადის, აპარატურის ან სხვა ნებისმიერი ტიპის მოწყობილობის განთავსების ტარიფი ქ. ბათუმის სატელეფონო სადგურებსა და რაიონული განყოფილებების შენობებში განისაზღვროს შემდეგი სქემით:

- განთავსების ერთჯერადი ღირებულება ნებისმიერი ზომის მოწყობილობისთვის - 2360 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
- ერთი თვის განმავლობაში შპს „აჭარის ელექტროკავშირის" კუთვნილ ფართზე ისეთი მოწყობილობის განთავსება, რომლის არცერთი განზომილება (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე) არ აღემატება 1 მეტრს – 600 ლარი თვეში დღგ-ს ჩათვლით.
- შპს „აჭარის ელექტროკავშირის" კუთვნილ ფართზე ისეთი მოწყობილობის განთავსება, რომლის ერთ-ერთი განზომილება (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე) აღემატება 1 მეტრს – 600 ლარს მიმატებული 300 ლარი დღგ-ს ჩათვლით თვეში ნებისმიერ განზომილებაზე დამატებული თითოეული მეტრისთვის.

2. ანტენებისა და ანძების განთავსების ტარიფი შპს „აჭარის ელექტროკავშირის" კუთვნილ ტერიტორიებზე განისაზღვროს შემდეგი სქემით:

- ერთი ანტენის განთავსების ერთჯერადი ღირებულება - 4360 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
- ერთი თვის განმავლობაში შპს „აჭარის ელექტროკავშირის" კუთვნილ ტერიტორიებზე ერთი ანტენის განთავსება – 2360 ლარი თვეში დღგ-ს ჩათვლით.
- ერთი ანძის განთავსების ერთჯერადი ღირებულება - 10 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
- ერთი თვის განმავლობაში შპს „აჭარის ელექტროკავშირის" კუთვნილ ტერიტორიებზე ერთი ანძის განთავსება – 5900 ლარი თვეში დღგ-ს ჩათვლით.

3. წინამდებარე ბრძანებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2008 წლის 16 აპრილის N25ოპ ბრძანება, რომლის საფუძველზეც რეგულირდებოდა ბათუმის სატელეფონო სადგურებსა და რაიონული განყოფილებების შენობებში აპარატურული კარადებისა და შპს „აჭარის ელექტროკავშირის" კუთვნილ ტერიტორიებზე ანძების/ანტენების განთავსების ტარიფი.

4. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდეს 2008 წლის 1 დეკემბრიდან.
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ტექნიკურ დირექტორს ბატონ ზ. გოგიბერიძეს

დირექტორი მ. სტეფანია

# შ.პ.ს. "აჭარის ელექტროკავშირი"

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 80 ოპ

ქ. ბათუმი „4" ნოემბერი 2008 წ.

შპს „აჭარის ელექტროკავშირის „ ადგილობრივი სატელეფონო და საქალაქთაშორისო კავშირებით მომსახურების ტარიფების შესახებ

შპს „აჭარის ელექტროკავშირის" სატელეფონო ქსელის მოდერნიზაციიდან გამომდინარე დასრულდა ახალი ციფრული სატელეფონო სადგურების სამონტაჟო სამუშაოები ქ. ბათუმსა და ქობულეთში. თანახმად სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (დამფუძნებელი) გენერალური დირექტორის მოადგილის 2008 წლის 4 ნოემბრის N4-15/1019 წერილისა, ახალი სატელეფონო სადგურში გადართვების დაწყებასთან დაკავშირებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შპს"აჭარის ელექტროკავშირის" ადგილობრივი სატელეფონო და საქალაქთაშორისო კავშირებით მომსახურების ახალი ტარიფები (დანართი N1)
2. ახალი ტარიფები ძალაში შევიდეს 2008 წლის 01 ნოემბრიდან.
3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს შპს „აჭარის ელექტროკავშირის" 2008 წლის 28 თებერვლის N 9ოპ ბრძანებით დამტკიცებული ტარიფები.
4. დირექტორის მოადგილემ საფინანსო დარგში (მ. ჯაბნიძე) :
   _ახალი ტარიფების შესახებ აცნობოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფს და შპს „ბიტს".
5. იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა (მ. კონცელიძე) უზრუნველყოს ახალი ტარიფების პუბლიკაცია პრესით.
6. კომერციული ანალიზისა და ოპერატორებთან ურთიერთობის სამსახურმა (ნ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს იურიდიულ პირებთან და ოპერატორებთან სათანადო შეთანხმებების გაფორმება მოქმედ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ტექნიკურ დირექტორს (ზ. გოგიბერიძე).

დირექტორი მ. სტეფანია

დანართი №1

შპს „აჭარის ელექტროკავშირის" ადგილობრივი სატელეფონო კავშირებით მომსახურების
ტ ა რ ი ფ ე ბ ი
(დღგ-ს ჩათვლით)

| № | მომსახურების სახეები | სატელეფონო განაკვეთი (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| | **1. ტელეფონის დადგმა** | |
| 1.1 | - ციფრული ასს | 120.00 |
| | - ანალოგიური ასს | 90.00 |
| 1.2 | პირდაპირი (სატრანზიტო) ხაზის მოწყობა | 200.00 |
| 1.3 | ტელეფონის ნომრის ხაზის გადატანა:<br>- მისამართის შეცვლა იგივე კროსში | 20.00 |
| | - მისამართის შეცვლა სხვა კროსში | 60.00 |
| 1.4 | პირდაპირი (სატრანზიტო) ხაზის გადატანა:<br>-მისამართის შეცვლა იგივე კროსში | 100,00 |
| | -მისამართის შეცვლა სხვა კროსში | 100.00 |
| 1.5 | აბონენტის თხოვნით:<br>- ტელეფონის ნომრის შეცვლა | 10.00 |
| | - აბონენტის სახელის შეცვლა | უფასო |
| 1.6 | ძველი სატელეფონო სადგურის შეცვლის დროს ახალ ციფრულ ასს-ში გადართვა | უფასო |
| 1.7 | სხვა ოპერატორების მოქმედ სატელეფონო სადგურში ჩართული ტელეფონის გადართვა გაერთიანებული ტელეკომის სატელეფონო სადგურში, აბონენტის თხოვნით. | 1.00 |
| 1.8 | მოქმედ ტელეფონის ხაზზე დამცავი სიგნალიზაცია:<br>- ჩართვა | 10.00 |
| | - გამორთვა | 2.00 |
| 1.9 | ტელეფონის გადაფორმება | 10.00 |
| 1.10 | ბინის დროებით იჯარაში გაცემის შემთხვევაში მოიჯარეზე ტელეფონის დროებით გაფორმება | 2.00 |
| | **2. სააბონენტო გადასახადი თვეში** | |
| 2.1 | ფიზიკური პირი:<br>-ციფრული ასს | 5.00 |
| | -ანალოგიური ასს | 3.00 |
| 2.2 | მარტოხელა პენსიონერებისა და I ჯგუფის უსინათლო ინვალიდებისათვის:<br>-ციფრული ასს | 2.50 |
| | -ანალოგიური ასს | 1.50 |
| 2.3 | იურიდიული პირი:<br>-ციფრული ასს | 10.00 |
| | -ანალოგიური ასს: | |

| | | |
|---|---|---|
| | ა) საბიუჯეტო ორგანიზაცია | 6.00 |
| | ბ) არასაბიუჯეტო ორგანიზაცია | 8.00 |
| 2.4 | პირდაპირი (სატრანზიტო) ხაზი:<br>-იურიდიული პირი | 15.15 |
| 2.5 | ტელეფონის ხაზზე დამცავი სიგნალიზაცია | 2.00 |
| 2.6 | სატელეფონო კანალიზაციის იჯარა კაბელის დიამეტრით:<br>-15 მმ-მდე | 70.00 |
| | -15 მმ-დან 25 მმ-მდე | 100.00 |
| | -25 მმ-დან 35 მმ-მდე | 200.00 |
| | -35 მმ-დან 45 მმ-მდე | 300.00 |
| | -45 მმ-დან 55 მმ-მდე | 400.00 |
| | -55 მმ-ის ზევით | 600.00 |

## 3. გადასახადის ვადაში გადაუხდელობის გამო

| | | |
|---|---|---|
| 3.1 | ციფრული ასს-თვის:<br>- ცალმხრივად შეზღუდული ტელეფონის ხელახალი ჩართვა | 1.00 |
| | - ორმხრივად შეზღუდული ტელეფონის ხელახალი ჩართვა | 1.00 |
| | - შეწყვეტილი მომსახურების (მოხსნილი ტელეფონის) აღდგენა მოხსნიდან 31 დღეში | 20.00 |
| | - შეწყვეტილი მომსახურების (მოხსნილი ტელეფონის) აღდგენა მოხსნიდან 61 დღეში | 60.00 |
| | - შეწყვეტილი მომსახურების (მოხსნილი ტელეფონის) აღდგენა მოხსნიდან 61 დღის შემდეგ | 120.00 |
| 3.2 | ანალოგური ასს-თვის:<br>- ცალმხრივად შეზღუდული ტელეფონის ხელახალი ჩართვა | 1.00 |
| | - ორმხრივად შეზღუდული ტელეფონის ხელახალი ჩართვა | 1.00 |
| | - შეწყვეტილი მომსახურების (მოხსნილი ტელეფონის) აღდგენა მოხსნიდან 31 დღეში | 20.00 |
| | - შეწყვეტილი მომსახურების (მოხსნილი ტელეფონის) აღდგენა მოხსნიდან 61 დღეში | 45.00 |
| | - შეწყვეტილი მომსახურების (მოხსნილი ტელეფონის) აღდგენა მოხსნიდან 61 დღის შემდეგ | 90.00 |

## *4. სხვა დამატებითი სახის მომსახურება*

| | | |
|---|---|---|
| 4.1 | სერიული ნომრის პროგრამული უზრუნველყოფა | 1250.00 |
| 4.2 | თითოეული ხაზის ორგანიზება (სერიულად) | 180.00 |
| 4.3 | არსებული ხაზის სერიულად გადაკეთება | 50.00 |
| 4.4 | სერიული ნომრის თითოეული ხაზის სააბონენტო გადასახადი თვეში | 30.00 |
| 4.5 | შემოკლებული სანომრე რესურსის მიწოდება (ორნიშნა და სამნიშნა) | 1000.00 |
| 4.6 | სამნიშნა სერიული ნომრის სააბონენტო გადასახადი | 250.00 |
| 4.7 | ორნიშნა სერიული ნომრის სააბონენტო გადასახადი | 1000.00 |
| 4.8 | ადგილობრივი სატელეფონო ქსელის ტელეფონ-ავტომატიდან ადგილობრივი ლაპარაკი | 0.02 |
| 4.9 | აბონენტის თხოვნით ტელეფონის დროებით გამორთვა ან ჩართვა | 1.00 |
| 4.10 | დაუყოვნებლივი ტარიფიკაცია:<br>- მოწყობილობის ერთჯერადი გადასახადი | 30.00 |
| | - სააბონენტო გადასახადი თვეში | 5.00 |

| | | |
|---|---|---|
| 4.11 | სხვადასხვა სახის დამატებითი მომსახურება: | |
| | - პულტი-მდივანი (ყოველთვიური სააბონენტო) | 5.00 |
| | - გადამისამართება თუ ნომერი არ პასუხობს (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - გადამისამართება ნომრის დაკავების შემთხვევაში (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - გამავალი ზარების არჩევითი შეზღუდვა (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - გამავალი ზარების შეზღუდვა (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - გამოძახება დაყოვნებით (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - გამოძახება პაროლით (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.25 |
| | - დამატებითი მომსახურება პაროლი (ყოველთვიური სააბონენტო) | 1.00 |
| | - დაფარული ნომრის ამოცნობა (ყოველთვიური სააბონენტო) | 15.00 |
| | - დისტანციური გადამისამართება აბონენტის არ პასუხისას (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - დისტანციური გადამისამართება აბონენტის დაკავებისას (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - დისტანციური პირდაპირი გადამისამართება (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - ზარების კლასიფიკაცია (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - ზარის დაბრუნება (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - მაღვიძარა, ყოველდღიური (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - მომლოდინე რეჟიმი (ყოველთვიური სააბონენტო) | 1.0 |
| | - მომსახურება "არ შემაწუხოთ" (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - ნომერზე პირდაპირი გადამისამართება (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - ნომრების გადამისამართება (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - ნომრების მიღება (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - ნომრების შეზღუდვა (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - ნომრის ამოცნობა (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.99 |
| | - ნომრის დაფარვა (ყოველთვიური სააბონენტო) | 25.00 |
| | - პაროლის შეცვლა (ჩართვა) | 2.00 |
| | - ტონი (ყოველთვიური სააბონენტო) | 1.00 |
| | - უკუზარი დაკავებისას (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - უკუზარი როცა არ პასუხობს (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - შეკვეთილი გამოძახება (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| | - შემავალი ზარების შეზღუდვა (ყოველთვიური სააბონენტო) | 0.5 |
| 4.12 | აბონენტის თხოვნით "8"-ის ჩართვა-გამორთვა | 2.00 |
| 4.13 | ზარების დეტალური ამონაწერი (პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენით ან/და სასამართლოს გადაწყვეტილებით) | 0.50 |

*5. ზარის ღირებულება (1 წთ.)*

| | | |
|---|---|---|
| 5.1 | 1 წთ ზარის ღირებულება:<br>-ადგილობრივი საუბრები ( შიდა ლოკალური) | 0.00 |
| | -ადგილობრივი საუბრები (სხვა ოპერატორებთან) | 0.06 |
| | -საქალაქთაშორისო საუბრები ( 8-ით და 8 16-ით, აჭარის ელექტროკავშირისა და გაერთიანებული ტელეკომის აბონენტებთან) | 0.00 |
| | --საქალაქთაშორისო საუბრები (სხვა ოპერატორებთან) | 0.06 |
| | --მობილურზე საუბრები (8-16-0 ით, ერთ წამამდე დამრგვალებით) | 0.25 |
| | -- მობილურზე საუბრები ( 8-ით, 30 წამამდე დამრგვალებით) | 0.32 |
| | - „07"- ის საშუალებით განხორციელებულ საუბრებზე, დამატებით | 0.10 |
| | _"09" და „088" საცნობარო სამსახურზე | 0.20 |

შპს „აჭარის ელექტროკავშირის"
დირექტორის მოადგილე საფინანსო დარგში მ. [signature] /მ.ჯაბნიძე/